

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

70

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები მაღალი ძაბვის ელექტროობაში, რომელიც ფლობს ან ოპერირებს უწყვეს ქვესადგურებს და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, აწარმოებს ელექტროენერჯის გადამცემი სისტემების ექსპლოატაციას წარმოების ადგილიდან გამანაწილებელ სისტემამდე და იმ გამანაწილებელი (ელექტრული ხაზების, ბოძების, მრიცხველების და კაბელებისაგან შემდგარი) სისტემების ექსპლუატაცია, რომლებიც აწვდიან წარმოების ადგილიდან ან გადაცემის სისტემიდან მიღებულ ელექტროენერჯას საბოლოო მომხმარებელს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ელექტროობაში მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:

1. ჩაატაროს გაზომვითი სამუშაოები სხვადასხვა ტიპის ელექტროტექნიკურ მასალებზე;
2. გაზომოს ელექტრული ფუნქციების მახასიათებელი სიდიდეები;
3. შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები ნახაზის მიხედვით;
4. განახორციელოს მაღალი ძაბვის ეგხ-ის მშენებლობა და გაუწიოს მას მომსახურება;
5. დაამონტაჟოს ქვესადგურები და გაუწიოს მათ მომსახურება;
6. მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია ინფორმაციის საკომუნიკაციო ტექნოლოგიის (ICT) გამოყენებით;
7. წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე

- დაფუძნებული ხაზვის სისტემის (CAD) გამოყენებით;
8. დააპროექტოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების სქემები და დაამონტაჟოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების აპარატურა;
 9. გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულს.
 10. შეასრულოს მანქანა დანადგარების ნაწილების დემონტაჟი შეკეთებისათვის, დეტალების შემოწმება დეფექტებზე, ძრავების დანადგარების და მექატრონული აღჭურვილობის დიაგნოსტიკური მომსახურება/რემონტი;

შეფასების წესი:

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საკონტაქტო პირი:

პროფ. ნატალია კერესელიძე

ტელ 555591738

ელ-ფოსტა: natakereslidze@gmail.com;

მისამართი: სტუ, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, მე-8 კორპუსი, მ.კოსტავას 77, 0175, თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**ელექტრომექანიკოსი IV****პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)**

60

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ელექტრომექანიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის ელექტრული მანქანების და აპარატების ელექტრომექანიკოსი, რომელსაც შეუძლია სარემონტო და ოპერატიულ-საექსპლუატაციო სამუშაოების შესრულება არსებული საპროექტო-ტექნიკური და საექსპლუატაციო წესების მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი**ოდნა და გაცნობიერება**

აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ზოგად საფუძვლებზე დამყარებული მოწყობილობებისა და მექანიზმების მუშაობის ზოგადი პრინციპების ცოდნა ელექტრული მანქანებისა და აპარატების რემონტისა და სწორი ექსპლუატაციისათვის. შეუძლია გადაჭრას ამ სფეროში წამოჭრილი პრობლემები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია ენერგეტიკაში, მრეწველობის და ფართო მოხმარების ელექტრული მანქანებისა და პარატების ცალკეული დეტალებისა და კვანძების სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების დაგეგმვისა და შესრულების პროცესში მონაწილეობა; ინსტრუმენტებისა და საზომი ხელსაწყოების გამოყენების უნარ- ჩვევები. ამასთან გაცნობილია სიცოცხლის უსაფრთხოების ძირითად წესებს; აქვს ჯგუფში მუშაობის უნარი.

დასკვნის უნარი

შეუძლია ენერგეტიკაში, მრეწველობასა და ფართო მოხმარების ელექტრული მანქანებისა და აპარატების ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად არსებული საშუალებების გამოყენება და მიღებული და ალტერნატიული შედეგების ანალიზი.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ელექტრული მანქანებისა და აპარატების რემონტსა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე; შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ასევე უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.

სწავლის უნარი

შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის ამა თუ იმ მიმართულების მიზანშეწონილობის დამოუკიდებლად განსაზღვრა.

ღირებულებები

სრული პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ფასეულობებს, დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და იცავს ეთიკურ ნორმებს. უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის წესების დაცვით.

შეფასების წესი:

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

	<p>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p> <p>შეფასების ფორმა:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შუალედური შეფასება ✓ დასკვნითი შეფასება <p>შეფასების მეთოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ტესტირება; ✓ ზეპირი გამოკითხვა ✓ ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი ✓ დაკვირვება <p>შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში)</p>
<p>საკონტაქტო პირი: პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძე ტელ. 599984948 ელ-ფოსტა: n.abzianidze@gtu.ge მისამართი: სტუ. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, მე-8 კორპუსი, მ.კოსტავას 77, 0175, თბილისი</p>	

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
ელექტრომექანიკოსი V	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	60
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	ელექტრომექანიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
	სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მეხუთე საფეხურის ელექტრული მანქანების და აპარატების ელექტრომექანიკოსი, რომელსაც შეუძლია ტექნიკური დოკუმენტაციის წაკითხვა-გაცნობიერება, მარტივი საინჟინრო-ტექნიკური ანგარიშის ჩატარება, სამუშაო უბანზე ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვა. ენერგეტიკის, მრეწველობის, ფართო მოხმარების ელექტრული მანქანებისა და აპარატების დამზადებასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემების დამოუკიდებელი გადაჭრა, რემონტის ჩატარების ტექნოლოგიის დადგენა, ექსპლუატაციაში აქტიური მონაწილეობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

ფლობს: ენერგეტიკის, მრეწველობისა და ფართო მოხმარების ელექტრული მანქანებისა და აპარატების კონსტრუქციების, მათი დამზადების ტექნოლოგიისა და რემონტის ცოდნას; მონტაჟისა და ექსპლუატაციის საქმიანობასთან დაკავშირებული თეორიული ცოდნას; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კანონებზე დაყრდნობით, მიმდინარე პროცესების გაცნობიერებას; წარმოქმნილი პრობლემებისა და ამოცანების გაგებას და გადაჭრას; ზოგადი მენეჯმენტისა და ინდემწარმოების საფუძვლების ცოდნას.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია ტექნიკური დოკუმენტაციის წაკითხვა-გაცნობიერება, მარტივი საინჟინრო-ტექნიკური ანგარიშის ჩატარება, სამუშაო უბანზე ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვა. ენერგეტიკის, მრეწველობის, ფართო მოხმარების ელექტრული მანქანებისა და აპარატების დამზადებასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრა, რემონტის ჩატარების ტექნოლოგიის დადგენა, ექსპლუატაციაში აქტიური მონაწილეობა. აქვს ჯგუფში (ბრიგადაში) მუშაობისა და კომპეტენციის ფარგლებში მისი მართვის უნარი.

დასკვნის უნარი

შეუძლია ელექტრული მანქანებისა და აპარატების წარმოების, რემონტისა და ექსპლუატაციის დროს სიტუაციების სწორად შეფასება ინჟინერთან შეთანხმებით, სპეციფიკური პრობლემების სწორი ანალიზი და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების დადგენა.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო სისტემების პრაქტიკული გამოყენება, კომპიუტერული აღრიცხვა და მონიტორინგი; უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება და ანგარიშის წარდგენა.

სწავლის უნარი

შეუძლია პროფესიული განათლების გაფართოების სფეროს განსაზღვრა, დიაპაზონის გაზრდა ცვალებად და ექსტრემალურ სიტუაციებში; ფლობს პროფესიული ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, გაზიარებისა და გამოყენების უნარს.

ღირებულებები

შეუძლია შეაფასოს სხვების დამოკიდებულება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და იყოს ობიექტური საკუთარი თავისადმი. აქვს უნარი, სხვებს გაუზიაროს თავისი პროფესიული გამოცდილება.

შეფასების წესი:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები:

- ყოველკვირეული შეფასება; მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა;
I შუალედური გამოცდა. მაქსიმალური შეფასება 20 ქულა.
II შუალედური გამოცდა. მაქსიმალური შეფასება 20 ქულა.
- დასკვნითი გამოცდა მაქსიმალური შეფასება 30 ქულა.

შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში)

საკონტაქტო პირი:

პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძე

ტელ. 599984948

ელ-ფოსტა: n.abzianidze@gtu.ge

მისამართი: სტუ. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, მე-8 კორპუსი, მ.კოსტავას 77, 0175, თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსი IV

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
60
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა
ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსი, რომელსაც შეუძლია სერვის ცენტრის საექსპლუატაციო ქსელის მომსახურება, რემონტი და ქსელის ენერგოდანადგარებისა და მოწყობილობების გაწყობა და ექსპლუატაცია.
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
<p>მიიღებს ცოდნას სერვის ცენტრის პასუხისმგებლობაზე, უწყვეტად მიაწოდოს ელექტროენერგია მომხმარებელს, ამით გაატაროს სოციალური პოლიტიკა და დაიცვას თელასის ინტერესები. გააცნობიეროს ღრმად ელექტრომომარაგების არსი.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი შეუძლია სერვის ცენტრის ელექტრომომარაგების უწყვეტ რეჟიმში საქმიანობა და გამოიყენოს ელექტრომომარაგების შესახებ ცოდნა, შეიმუშაოს თავის სერვის ცენტრთან ერთად საქმიანობის სტრატეგია ელექტრომომარაგების წინაშე წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად.</p> <p>დასკვნის უნარი შეუძლია ელექტრომომარაგების დამახასიათებელი სპეციფიკური პრობლემების, კერძოდ ელექტროენერგიის მოულოდნელი გათიშვების, მოკლე ჩართვების და სხვა სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და დასკვნის გაკეთება</p> <p>კომუნიკაციის უნარი შემენილი კომუნიკაციის უნართ შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და სერვის ცენტრის საქმიანობის შესახებ პროფესიულ საზოგადოებაში კომუნიკაცია.</p> <p>სწავლის უნარი მიღებული სწავლის უნარის საფუძველზე შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი სწავლის მიმართულებები.</p> <p>ღირებულებები გრძნობს პასუხისმგებლობას, სერვის ცენტრის საქმიანობაზე, ელექტრომომარაგების ცვალებად ვითარებაში ქმნის ახალ ღირებულებებს.</p>
შეფასების წესი:
შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

<p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შეფასების ფორმები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ყოველკვირეული შეფასება; მაქსიმალური შეფასება 30 ქულა; • შუალედური გამოცდა; I შუალედური გამოცდა. მაქსიმალური შეფასება 20 ქულა. II შუალედური გამოცდა. მაქსიმალური შეფასება 20 ქულა. • დასკვნითი გამოცდა მაქსიმალური შეფასება 30 ქულა. <p>შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში)</p>
<p>საკონტაქტო პირი: პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძე ტელ. 599984948 ელ-ფოსტა: n.abzianidze@gtu.ge მისამართი: სტუ. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, მე-8 კორპუსი, მ.კოსტავას 77, 0175, თბილისი</p>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსი V	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	60

<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია</p>
<p>სწავლების ენა ქართული</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი პროგრამის მიზანია მოამზადოს მეხუთე საფეხურის ენერგეტიკის სერვის ცენტრის ტექნიკოსი, რომელსაც შეუძლია სერვის ცენტრის საექსპლუატაციო ქსელის მომსახურება, რემონტი და ქსელის ენერგოდანადგარებისა და მოწყობილობების გაწყობა და ექსპლუატაცია.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება აცნობიერებს ენერგოსერვისული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს); კერძოდ უსაფრთხო ენერგო მომარაგების უზრუნველყოფას.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი შეუძლია უსაფრთხო ენერგო მომარაგების უზრუნველყოფა. ყველა საჭირო ინფორმაციის და ტექნიკური ღონისძიებების გატარების საშუალებით. დავალიანების მქონე აბონენტებისათვის ენერჯის დროული შეზღუდვის სამუშაოების ჩატარება.</p> <p>დასკვნის უნარი შეუძლია კარგად განსაზღვრული ენერგეტიკული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p> <p>კომუნიკაციის უნარი შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე ენერგოსერვისთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p> <p>სწავლის უნარი შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა, სწავლის გაღრმავება, სპეციალურ ლიტერატურასთან მუშაობა, ინტერნეტის გამოყენება.</p> <p>ღირებულებები აფასებს თავისი დამოკიდებულებას უსაფრთხო ენერგომომარაგების უზრუნველსაყოფად.</p>
<p>შეფასების წესი: შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

	<ul style="list-style-type: none"> • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შეფასების ფორმები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ყოველკვირეული შეფასება; მაქსიმალური შეფასება 30 ქულა; • შუალედური გამოცდა; <ul style="list-style-type: none"> I შუალედური გამოცდა. მაქსიმალური შეფასება 20 ქულა. II შუალედური გამოცდა. მაქსიმალური შეფასება 20 ქულა. • დასკვნითი გამოცდა მაქსიმალური შეფასება 30 ქულა. <p>შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში)</p>
<p>საკონტაქტო პირი: პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძე ტელ. 599984948 ელ-ფოსტა: n.abzianidze@gtu.ge მისამართი: სტუ, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, მე-8 კორპუსი, მ.კოსტავას 77, 0175, თბილისი</p>	

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
რადიო და სატელევიზიო სისტემების მომსახურეობის და ექსპლუატაციის ოპერატორი IV	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

60
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
რადიო და სატელევიზიო სისტემების მომსახურების და ექსპლუატაციის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
სწავლების ენა
ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
პროგრამის მიზანია მოამზადოს მეოთხე საფეხურის რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურების და ექსპლუატაციის ოპერატორი.
საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი
<p>ცოდნა და გაცნობიერება შეუძლია: ყველა რადიო- და სატელევიზიო სისტემის - მიწისპირა და სათანამგზავრო კავშირისა და მაუწყებლობის, რადიოსარელო კავშირის, მობილური კავშირის, უკაბელო ფართოზოლოვანი სისტემების – როგორც ცალკეული კვანძების ინსტალაცია ასევე ინსტალაცია მთლიანობაში; სისტემების დაყენება საპროექტო მაჩვენებლებზე და ექსპლუატაციაში შეყვანა. უზრუნველყოფს ელექტრომაგნიტური თავსებადობა მოცემულ გეომეტრიაში; შეაფასოს ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების პირობები.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს მიწისპირა და სათანამგზავრო კავშირისა და მაუწყებლობის, რადიოსარელო კავშირის, მობილური კავშირის და უკაბელო ფართოზოლოვანი სისტემების რადიოტექნიკური კვანძების ექსპლუატაციაში შეყვანა საპროექტო მაჩვენებლების გათვალისწინებით. შეადგინოს შესაბამისი ანგარიშები.</p> <p>დასკვნის უნარი შეუძლია დამოუკიდებლად შეაფასოს საპროექტო-დოკუმენტური და საექსპლუატაციო მონაცემების ერთმანეთთან შედარება შესაბამისი რადიო- და სატელევიზიო სისტემებისათვის; კერძოდ, ჩაატაროს სათანადო გაზომვები და შეადაროს ის საპროექტოს. აწარმოოს ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი.</p> <p>კომუნიკაციის უნარი ზეპირად და წერილობით შეუძლია მკაფიოდ გამოხატოს აზრი პროფესიულ საკითხებზე, ასევე დისკუსიებში მონაწილეობა პრობლემების გადაჭრის მიზნით</p> <p>სწავლის უნარი უნდა შეეძლოს მოიპოვოს და დაამუშაოს ინფორმაციები უახლეს ტექნოლოგიებზე.</p> <p>ღირებულებები იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცალკეული მომხმარებლებისა და სისტემის მფლობელთა პრეტენზიებსა და მითითებებზე პროფესიონალურად რეაგირებს. პასუხისმგებლობით ეკიდება უსაფრთხოების და</p>

<p>გარემოს დაცვის საკითხებს.</p> <p>შეფასების წესი:</p> <p>შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.</p> <p>დადებით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; • (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; • (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%; <p>უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:</p> <ul style="list-style-type: none"> • (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. • (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შეფასების ფორმები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ყოველკვირეული შეფასება; მაქსიმალური შეფასება 30 ქულა; • შუალედური გამოცდა; • I შუალედური გამოცდა. მაქსიმალური შეფასება 20 ქულა. • II შუალედური გამოცდა. მაქსიმალური შეფასება 20 ქულა. • დასკვნითი გამოცდა მაქსიმალური შეფასება 30 ქულა. <p>შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში)</p>
<p>საკონტაქტო პირი:</p> <p>პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძე</p> <p>ტელ. 599984948</p> <p>ელ-ფოსტა: n.abzianidze@gtu.ge</p> <p>მისამართი: სტუ. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, მე-8 კორპუსი, მ.კოსტავას 77, 0175, თბილისი</p>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

რადიო და სატელევიზიო სისტემების მომსახურების და ექსპლუატაციის ოპერატორი V

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

60

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურების და ექსპლუატაციის ოპერატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მეხუთე საფეხურის რადიო- და სატელევიზიო სისტემების მომსახურების და ექსპლუატაციის ოპერატორი.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

უნდა იცნობდეს რადიო- და სატელევიზიო სისტემების კვანძების ტექნოლოგიურ მონაცემებსა და პროტოკოლებს. უნდა შეეძლოს საჭირო სისტემის ტექნიკური დავალების შედგენა. სისტემის ტექნიკური დავალების საფუძველზე განახორციელოს მისი სტრუქტურული პროექტირება, პარალელურად გადაჭრილი უნდა იქნას ელექტრომაგნიტური თავსებადობისა და ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების საკითხები. უნდა იცნობდეს კანონმდებლობის საკითხებს რეგულირების მიმართულებით.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

უხელმძღვანელოს მის მიერ პროექტირებული სისტემის პრაქტიკულ რეალიზაციას არსებული საბაზისო ტექნოლოგიების გამოყენებით: უხელმძღვანელოს სისტემის ინსტალაციის, გაზომვებისა და ექსპლუატაციაში შეყვანის პროცესებს.

დასკვნის უნარი

ჩატარებული გაზომვების საფუძველზე გააკეთოს შესაბამისი დასკვნები ექსპლუატაციაში შეყვანილი სისტემის ირგვლივ. მოახდინოს პარამეტრების დაზუსტება და მიღწეული საბოლოო ტექნიკური მაჩვენებლების ჩამოყალიბება.

კომუნიკაციის უნარი

ზეპირად და წერილობით შეუძლია მკაფიოდ გამოხატოს აზრი პროფესიულ საკითხებზე. მონაწილეობა მიიღოს დისკუსიებში პრობლემების გადაჭრის მიზნით.

სწავლის უნარი

უნდა შეეძლოს მოიპოვოს და დაამუშაოს ინფორმაციები ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით.

ღირებულებები

იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცალკეული მომხმარებლებისა და სისტემის მფლობელთა პრეტენზიებსა და მითითებებზე პროფესიონალურად რეაგირებს. პასუხისმგებლობით ეკიდება უსაფრთხოების და გარემოს დაცვის საკითხებს.

შეფასების წესი:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები:

- ყოველკვირეული შეფასება; მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა;
I შუალედური გამოცდა. მაქსიმალური შეფასება 20 ქულა.
II შუალედური გამოცდა. მაქსიმალური შეფასება 20 ქულა.
- დასკვნითი გამოცდა მაქსიმალური შეფასება 30 ქულა.

შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში)

საკონტაქტო პირი:

პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძე

ტელ. 599984948

ელ-ფოსტა: n.abzianidze@gtu.ge

მისამართი: სტუ. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, მე-8 კორპუსი, მ.კოსტავას 77, 0175, თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტი IV

პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)

60

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

სწავლების ენა

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია სათანადო გეგმების შედგენის და შესრულების კონტროლისთვის საჭირო ნორმატიული ბაზის მომზადება; შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების, სისტემატიზების და ანალიზის მეშვეობით გადახრების გამოვლენა ოპერაციულ საქმიანობაში და ტექნიკური ხასიათის მაკორექტირებელი ღონისძიებების მომზადება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

იცის ოპერაციათა და პროექტების შესრულების მართვის თეორიულ საფუძვლები; ფლობს საწარმოო და სერვისულ ოპერაციათა დაგეგმვის, მიმდინარეობის ნორმირების და მონიტორინგის პრაქტიკულ მეთოდოლოგიას;

აცნობიერებს დაგეგმვის და ნორმირების როლს საპროექტო და მიმდინარე ოპერაციული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია საწარმოო გეგმების შედგენისთვის საჭირო ინფორმაციის გამოვლენა სათანადო წყაროების: ნორმების და სტანდარტების კრებულების, ქრონომეტრაჟის შედეგების, კითხვარების და ა.შ., ანალიზის საფუძველზე; წარმოების მოცულობის, დანახარჯების ოდენობის და შესრულების დროის მიმართ დაგეგმილი მოთხოვნების შესაბამისი ნორმატიული ბაზის მომზადება; მონაცემების სისტემატიზება სატენდერო განაცხადების და შესყიდვა-მიწოდების კონტრაქტების შედგენისთვის; მასალებზე, შრომაზე, მანქანა-დანადგარებსა და სპეციალურ აღჭურვილობაზე, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეებზე საპროექტო საქმიანობის მოთხოვნილებების ანალიზი და ფორმულირება; პროექტის რეალიზების გრაფიკების შედგენა და მათი შესრულების მონიტორინგის ორგანიზება.

დასკვნის უნარი

შეუძლია საპროექტო და ოპერაციული საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების შედგენა, მათი ანალიზი და შედეგების ასახვა სათანადო ანგარიშებში; დასაწყობებული მასალების, მაკომპლექტებლების და პროდუქციის მიღება-გაცემის ჩანაწერების ანალიზის საფუძველზე, მარაგების მართვაში არსებული პრობლემების გამოვლენა და მაკორექტირებელი რეკომენდაციების შემუშავება; მიმწოდებლების და მომხმარებლების კომერციული წინადადებების ურთიერთშედარება ფასის, ხარისხის, მიწოდების საიმედოობის და სხვა მსგავსი მახასიათებლების მიხედვით და შესაბამისი გადაწყვეტილებების მომზადება.

კომუნიკაციის უნარი

შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უზრუნველყოფა, საპროექტო და ოპერაციული საქმიანობის ადმინისტრირების მსვლელობაში; სათანადო მოლაპარაკებების წარმოება რესურსების მიმწოდებლებსა და პროდუქციის მომხმარებლებთან; ოპერატორის ფუნქციის შესრულება საპროექტო და ოპერაციული საქმიანობის დაგეგმვის და მიმდინარეობის კონტროლისთვის განკუთვნილი კომპიუტერული პროგრამული სისტემებით სარგებლობისას, ინფორმაციას გრაფიკული და ცხრილური სახით წარმოდგენისთვის მომზადება სათანადო პროგრამული პაკეტების მეშვეობით; ინგლისურ ენაზე შედგენილი ნორმატიული და საცნობარო ლიტერატურის წაკითხვა; პროფესიული ინფორმაციის დამოუკიდებელი მოძიება ინტერნეტის მეშვეობით.

სწავლის უნარი

შეუძლია დამოუკიდებლად გამოიყენოს წამყვანი პროფესიული ორგანიზაციების და სწავლების სხვა მიმწოდებლების საგანმანათლებლო- პროფესიული შესაძლებლობები, დისტანციური სწავლების ჩათვლით, საკუთარი კვალიფიკაციის სრულყოფისთვის; შეუძლია ახალი პროგრამული საშუალებების გამოყენების დამოუკიდებელი ათვისება.

ღირებულებები

იზიარებს პასუხისმგებლობას საპროექტო, საწარმოო და სერვისულ ოპერაციათა დაგეგმვის, ნორმირების და მონიტორინგის ეფექტიანობაზე; ესმის საკუთარი როლი მომხმარებელთა მოლოდინების დაკმაყოფილებაში ნაწარმის, ან სერვისის ხარისხის მიმართ

შეფასების წესი:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების ფორმები:

- ყოველკვირეული შეფასება; მაქსიმალური შეფასება 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა;
I შუალედური გამოცდა. მაქსიმალური შეფასება 20 ქულა.
II შუალედური გამოცდა. მაქსიმალური შეფასება 20 ქულა.
- დასკვნითი გამოცდა მაქსიმალური შეფასება 30 ქულა.

	შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში)
საკონტაქტო პირი: პროფ. ნიკოლოზ აბზიანიძე ტელ. 599984948 ელ-ფოსტა: n.abzianidze@gtu.ge მისამართი: სტუ, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, მე-8 კორპუსი, მ.კოსტავას 77, 0175, თბილისი	

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტი V	
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)
	60
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
	ინჟინერიის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
	სწავლების ენა
	ქართული
	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
	პროგრამის მიზანია მოამზადოს საწარმოო ინჟინერიის სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია საწარმოო გეგმების და სამუშაო გრაფიკების შედგენასა და შესრულების მონიტორინგში მონაწილეობა; შესაბამისი ოპერაციული საქმიანობის ორგანიზება, პროდუქციის ხარისხის და აღჭურვილობის გამოყენების ეფექტიანობის დაცვით; სასაწარმოო მეურნეობის მართვა და სათანადო ანგარიშგების წარმოება.
	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება

იცის ბიზნესის დაგეგმვის საფუძვლები, მიდგომები აღჭურვილობის ეფექტიანი გამოყენებისა და საწარმოო ოპერაციათა ხარისხიანი შესრულების ორგანიზაციისთვის, მასალებსა და სხვა რესურსებზე მოთხოვნილების ფორმირების პრინციპები.

აცნობიერებს საწარმოო სისტემების თანამედროვე ორგანიზაციის შესაძლებლობებს ოპერაციული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

შეუძლია მონაწილეობა ბიზნესის დაგეგმვაში; საწარმოო გეგმების შესრულებისთვის საჭირო რესურსებზე მოთხოვნილების ფორმულირება, სათანადო კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობის ჩათვლით; სასაწყობო მეურნეობის ორგანიზება და მართვა; სამუშაო ცენტრების და ოპერატორთა მუშაობის ორგანიზება აღჭურვილობის ეფექტიანი გამოყენების დაცვით; ოპერაციების ხარისხიანი შესრულების უზრუნველყოფა; საწარმოო აღჭურვილობის ოპერატორთა მუშაობის უსაფრთხოების დაცვა.

დასკვნის უნარი

შეუძლია: სათანადო მოთხოვნილებების დამოუკიდებელი გამოვლენა ოპერაციული საქმიანობის დაგეგმვისა და შესრულებისთვის, მათი ანალიზი და შედეგების ასახვა სათანადო ანგარიშებსა და დოკუმენტებში; საწარმოო აღჭურვილობის ოპერატორთა საქმიანობის შეფასება და მაკორექტირებელი ღონისძიებების შემუშავება, აღჭურვილობის გამოყენების ეფექტიანობის და ხარისხის ამაღლების მიზნით; წინადადებების შემუშავება მასალების, მაკომპლექტებლების და პროდუქციის დასაწყობების რაოდენობრივი მაჩვენებლების და პირობების თაობაზე.

კომუნიკაციის უნარი

